ხაშურის მოამბე

№46(370) 28 ნოემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

- მთავრობის სხდომა -

ხაშურის სრული წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტზე სამუშაოები იწყება

განსახილველ საკითხთა შორის იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ კანონპროექტი,რომლის საფუძველზეც კიდევ 123 დევნილი ოჯახი საცხოვრებელ ბინებს საკუთრებაში მიიღებს. საცხოვრებლები თბილისში, ზუგდიდში, გორში, ქუთაისში, წყალტუბოში, მცხეთაში, ბათუმში, ახალციხეში, ხობში, მარტვილში, სენაკში, წალენჯიხაში, ფოთში, ჩხოროწყუში, ქობულეთში, გურჯაანში, თეთრიწყაროში, გარდაბანში და ხაშურში მდებარეობს.

ამასთან, მთავრობის წევრებმა განიხილეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც, ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტის შემოსულობები მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების განკარგვიდან. ასევე,კანონპროექტით გადაიხედება შემოსულობების პროცენტული განაწილება ქონებასთან მიმართებაში, იმისათვის რომ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტმა მიიღონ დამატებითი შემოსავალი ქონებიდან,რომელიც არის მათ ტერიტორიაზე.

სხდომაზე განიხილეს ასევე კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ხაშურის სრული წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტზე სამუშაოები იწყება.

პროექტის სრული ღირებულება დაახლოებით 225 მილიონი ლარია და მის ფარგლებში, 5 წლის განმავლობაში, მოეწყობა დაახლოებით 160 კმ წყალმომარაგების მილი, დაახლოებით 45 კმ წყალარინების ქსელი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა,რეაბილიტაცია ჩაუტარდება და განვითარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობა,რეზერვუარები და ა.შ. პროექტის დასრულების შემდეგ, 24 000 ბენეფიციარი გამართული წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის განახლების სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, იქნება განათება.

„სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება და საბოლოოდ,ტყე-პარკი კვლავ გადაიქცევა ხაშურელებისთვის საყვარელ ადგილად,ზემო სერის ტყე-პარკი, საშუალებას მოგვცემს დავკავდეთ როგორც სპორტული ცხოვრებით, ასევე, სრულფასოვნად დავისვენოთ.“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, მიმდინარე სამუშაოებს ათვალიერებდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი,მათი განმარტებით,ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები თანადაფინანსებით, მუნიციპალიტეტის მიერ მოპოვებული საგრანტო თანხით ხორციელდება და ღირებულება803 897 ლარს შეადგენს.

ხაშურის საპატიო მოქალაქეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ნინო ქურდაძეს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, დაბადების 100 წლის იუბილე და გიორგობის დღესასწაული მიულოცეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძემ და მერიის სხვა წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ ქალბატონს, სიმბოლური საჩუქრები მიართვეს და დღეგრძელობა უსურვეს.

აღნიშნული ღონისძიება, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

აღსანიშნავია,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ფულადი სოციალური პროგრამა, ასწლოვანი ადამიანებისთვის ფულად წახალისებასაც ითვალისწინებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 16 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353.10 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 5 738.2 ათასი ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული - 71.9 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი - 588.6 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 35 176.7 ათასი ლარით, რაც 13 823.6 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 26 462,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 99,59%, ხოლო წლიური გეგმის 82,99%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 100,20% (17 523,6 ათასი ლარი) ხოლო წლიურ გეგმასთან მიმართებაში 83,50%, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი (გეგმით - 1 803.5 ათასი ლარი) – 90,072%-ით წლიურთან 75,06%, ქონების გადასახადი (გეგმით - 2950.0 ათასი ლარი) 92,01% წლიურთან 76,67%, აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი -103,01 %-ით წლიურთან -85,84%, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 7,33 % წლიურთან - 6,11%, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი -27,83 %, წლიურთან - 23,19%, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 8,89%, წლიურთან - 7,40%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 150,98 %-ით (2 262.1 ათასი ლარი) წლიურთან 125,82, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 121,97 %-ით, წლიურთან - 101,39 %, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 70,79-ით წლიურთან - 58,99%, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 66,87 %-ით, წლიურთან - 55,73% შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 156,13%-ით, წლიურთან 130,11%-ით, (შემოსავალი მიწის იჯარიდან – 28,4 %, წლიურთან - 24%), შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 49,41% წლიურთან - 41,18%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 70,89%-ით, წლიურთან - 59,07%.

2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების გრანტების ხვედრითი წილი შეადგენს 25,23%-ს (6 677,1 ათას ლარს),

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 250.0 ათასი ლარი, მიღებულია დაფინანსება ამ ეტაპისათვის – 208.0 ათასი ლარია.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის 75 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 859 529 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის , სოფელ ვაყის ხიდიდან ტკოცამდე გზის მოასფალტების (I და II ეტაპი) და სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის 277 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორცილებელი ღონისძიებების შესახებსაქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის 1275 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 135523 ლარი (სოფელ წაღვლში ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად).

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №926 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის 51 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 48 725 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად - 338 411,62 ლარი.

2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გადასახდელების საკასო შესრულებამ 24 829.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 80,76%-ს ხოლო წლიური გეგმის 67,31%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ათი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 72,69% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 14,07%), თავდაცვა - 72,38% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,47%), ეკონომიკური საქმიანობა - 50,68% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 65,34%), გარემოს დაცვა - 74,87% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,58%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა –60,46% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 4,55%), ჯანმრთელობის დაცვა -78,60% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,32%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია -29,23 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 5,57), განათლება - 76,39% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 9,595%), სოციალური დაცვა - 89,78% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში - 4,03%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 74,68%-ით, საქონელი და მომსახურების ხარჯები - 62,89%-ით, სუბსიდიები - 76,27%-ით, გრანტები - 91,47%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 94,95%-ით, სხვა ხარჯები - 62,37%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 61,72%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე.

2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა თანხის გამოყოფა 9974,78 ლარის ოდენობით (02.03.2022 84.84220619 ბრძანება) უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დამეგობრებული უკრაინული ქალაქებისათვის ნოვოგრად-ვოლნისკისა და ობუხოვისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.04.2022 84.84221103 ბრძანება) უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული კიევში მცხოვრები გალინა ზაბრეიკოსათვის დროებითი საყოფაცხოვრები პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით (20.06.2022 84.842217114 ბრძანება) უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული უკრაინაში მცხოვრები ვიქტორ იაკოვლევის და თამარა იაკოვლევას დროებითი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

3000 ლარის ოდენობით (30.09.2022 84.84222736 ბრძანება) ქალაქ ხაშურში იმერეთის ქუჩა 86-ში მცხოვრები გიორგი ბანცაძის საზღვარგერეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით. სულ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 13 574,78 ლარი.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-
საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე დასასვენებელი სივრცის მშენებლობა მიმდინარეობს

სკვერი თანამედროვე სტანდარტებით მოეწყობა, განთავსდება დასასვენებელი სკამები, განათებები, დამონტაჟდება სანაგვე ურნები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწვანე სივრცეების მოწყობას, კერძოდ, დაირგვება მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, ირმის რქა, ბურთის ფორმის ფოტინია. გარდა ამისა, მოეწყობა ფანჩატური და დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები.

"მშენებარე სკვერის მიმდებარედ ცოტა ხნის წინ დავასრულეთ მინი სტადიონის მოწყობა. საერთო ჯამში, შეიქმნება სივრცე, რომელიც ყველა ასაკის მაცხოვრებლის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. გვინდა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში მაქსიმალურად მეტი რეკრეაციული და სპორტული სივრცეები მოვაწყოთ",- აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცვნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

ფარნავაზის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 259 457 ლარს შეადგენს.

– სოფლის მეურნეობა –

პროგრამა „დანერგე მომავალი“ განახლდა

თუ ფლობთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს და გსურთ სოფლად საქმიანობის წამოწყება/განვითარება,სახელმწიფო გთავაზობთ მხარდაჭერას ოთხი ძირითადი კომპონენტის ფარგლებში:

<u>მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსება;</u>

<u>სანერგე მეურნეობების თანადაფინანსება;</u>

<u>სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/ წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსება;</u>

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების დაფინანსება

„დანერგე მომავალი” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებული პროგრამაა და მოქმედებს 2015 წლის 15 თებერვლიდან

მას სოფლის განვითარების სააგენტო, სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ახორციელებს.

პროგრამის მიზნებია:

სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც ჩანაცვლდება იმპორტირებული პროდუქცია და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგება და გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

ადგილობრივი, ფიტოსანიტარულად სუფთა, სარგავი მასალების/ ნერგების წარმოების ზრდა, რის შედაგადაც შესაძლებელი გახდება იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების,ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის შეთავაზება. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში განაცხადების მიღება განხორციელდება 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით:

აღმოსავლეთ საქართველოში - 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით პროგრამით გათვალისწინებული მრავალწლოვანი კულტურის ბაღების გაშენების შემთხვევაში.

შიდა ქართლის რეგიონში გათვალისწინებულია შემდეგი მრავალწლოვანი კულტურების გაშენება:

გარგარი, ნუში, შინდი, კაკალი, ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, მაყვალი, კომში, თხილი.

ბაღების თანადაფინანსება და მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ხელშეწყობა ვრცელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში.

ფინანსური დახმარება

ფინანსური დახმარება გულისხმობს, როგორც ფულად დახმარებას ნერგების შეძენისთვის, ასევე თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობისთვის.

დაფინანსდება შესაძენი ნერგების არაუმეტეს 70%. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებისთვის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში არაუმეტეს 80%.

თანადაფინანსებას დაექვემდებარება როგორც ადგილობრივად შეძენილი ნერგები, ისე იმპორტირებული. ამავდროულად, თითოეულ ნერგზე, დადგენილია მაქსიმალური თანადაფინანსება.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მაქსიმალური დაფინანსება 50%-ია, მაგრამ არაუმეტეს 1,250 ლარი 0.5 ჰ ექტარზე.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის კოოპერატივებისთვის,გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში არაუმეტეს 60%, მაგრამ არაუმეტეს 1,500 ლარზე 0.5 ჰა-ზე.

ტექნიკური დახმარება

ინტენსიური ბაღის მოვლისათვის აუცილებელი ცოდნით აღჭურვისათვის თანადაფინანსების პროგრამის მონაწილეებს,სურვილის შემთხვევაში ჩაუტარდებათ ტრენინგები შემდეგ საკითხებში:

გაშენებულ ბაღში ნერგების გასხვლის ტექნოლოგიების პრაქტიკული სწავლება;

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების დანერგვა - IPM;

ბაღის მორწყვისა და მცენარეთა კვების უზრუნველყოფის საკითხები;

შეზღუდვები

ბაღების კომპონენტის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დაინტერესებულია სხვადასხვა მრავალწლოვანი კულტურების, ბაღების/პლანტაციების გაშენებით და რომელიც ფინანსების სიმწირისა და უკუგების შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გამო ვერ ახერხებდა ახალი ფართობების ათვისებას.

პროგრამის მონაწილე შეიძლება იყოს:

საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე;

საქართველოში დაფუძნებული საწარმო,მათ შორის რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

ბაღის კომპონენტის ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი საწარმო, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ფლობს წილს, პაის, აქციებს.

ბაღის კომპონენტით გათვალისწინებული ფინანსური და ტექნიკური დახმარების მისაღებად:

მსურველი უნდა იყოს სრულწლოვანი;

პროგრამის მონაწილე უნდა ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელიც რეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში”, ერთი საკადასტრო კოდით მის სახელზე. ან მიღებული უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით სახელმწიფოსგან/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან/ სს „საპარტნიორო ფონდისგან“/ ფიზიკური პირისგან/იურიდიული პირისგან (იჯარის დარჩენილი პეერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 10 წელი და ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“)

მითითებული მოთხოვნა სახელმწიფოსთან საიჯარო ურთიერთობაზე არ მოქმედებს, თუ საქართველოს საპატრიარქოს მიერ პროექტში მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოს საპატრიარქო დააფუძნებს საწარმო(ებ)ს, რომელსაც საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს) გადასცემს კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

პროგრამაში მონაწილეობა ერთ პირს რამდენჯერმე შეუძლია, მაგრამ მიღებული დაფინანსება, ჯამში, არ უნდა აღემატებოდეს 250,000 ლარს, ხოლო ბაღის ფართობი 50 ჰექტარს.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს მრავალწლიანი კულტურების ბაღის გაშენება მინიმუმ 0.5 ჰექტარზე და მაქსიმუმ 50 ჰექტარზე.

თანადაფინანსების მოცულობა 0.5 ჰექტარზე არ უნდა აღემატებოდეს 5,000 ლარს.

ერთ ბენეფიციარზე თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა არ აღემატება 250,000 ლარს.

ბაღების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში, დაფინასდება შესასყიდი ნერგების 70%. დარჩენილი სხვაობა მოხმარდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში - შესასყიდი ნერგების ღირებულების 80%, ხოლო სხვაობა გადანაწილდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობაზე.

წინაპირობა

მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება ბაღის გაშენება, უნდა იყოს დამუშავებული არანაკლებ 40 სანტიმეტრზე.

მიწის ნაკვეთი საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი წყლით ან მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით უნდა არსებობდეს პერმანენტული წყლის წყარო: ტბა, მდინარე, არხი, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე იყოს ჭა ან ჭაბურღილი.“

იმ შემთხვევაში, თუ მიწა უზრუნველყოფილია წყლით, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულ ცნობაში აღიწერება ადგილზე ნანახი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფას.

მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება ბაღის გაშენება, არ უნდა ედოს ყადაღა.

განაცხადით გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კულტურის ნერგების 1 ჰა-ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა:

ეტაპები

ნიადაგის სინჯების ასაღებად და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად,შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიებს:

ლაბორატორიის თანამშრომელი იღებს სინჯებს ადგილზე და ახდენს მათ ლაბორატორიულ ანალიზს.

ნიადაგის გასაშენებელ კულტურებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ “სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში” წარადგენთ მიმართვას (სადაც მითითებული უნდა იყო ბაღში გასაშენებელი ყველა კულტურა) და ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს

ლაბორატორიული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, სსიპ “სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი” დაადგენს ნიადაგის, თქვენ მიერ მიმართვაში დაფიქსირებულ კულტურებთან, შესაბამისობას.

მიმართავთ სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თქვენი რეგიონის რეგიონალურ სამსახურს მიწის ნაკვეთის დამუშავების დასადასტურებლად

თქვენი რეგიონის რეგიონალური სამსახურის წარმომადგენელი გესტუმრებათ მიწის ნაკევთზე და შეამოწმებს არის თუ არა დამუშავებული არანაკლებ 40 სმ-ზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არის თუ არა წყლით/წყლის წყაროთი

იმ შემთხვევაში თუ მიწა დამუშავებულია მიწის ნაკვეთის დამუშავების კრიტერიუმების შესაბამისად, რეგიონალური სამსახურის თანამშრომელი გასცემს შესაბამის დასკვნას ცნობის სახით.

განაცხადის შესავსებად უნდა დარეგისტრირდეთ ვებგვერდზე. რეგისტრაციის გასავლელად შეავსეთ აუცილებელი ველები.

სარწყავი სისტემის მოწყობა რეკომენდებულია ნერგების დარგვამდე ან დარგვიდან მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში.

პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ქართულ ენაზე.

დახმარებისათვის მიმართეთ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს

მასალა მომზადებულია ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლების მიერ

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41)

ოქტომბრის პირველ ნახევარში 17-ის ნაცვლად დაიტვირთა 37 ვაგონი, არ დაირღვა ვაგონების მოცდენის ნორმა, ხოლო სატრანზიტო ვაგონების მოცდენის ნორმა სექტემბრის თვის მსგავსად მნიშვნელოვნად შეამცირეს და 1442 ვაგონსაათი დაზოგეს. თითქმის წელიწადზე მეტი იყო, რაც სადგურის კოლეტივი უწუნოდ და უმარცხოდ მუშაობდა, რაც თითოეული მუშაკის თავდადებული შრომის შედეგი იყო. შრომით გამოირჩეოდნენ ფირცხალავას და ღონღაძის ცვლები.

თავდადებით შრომობდნენ რკინიგზის ხაშურის კონდუქტორთა მარქაფიც. 1942 წლის 16 აგვისტოს ადგილობრივი გაზეთი აღნიშნავდა: აქ 32 დიასახლისი მომზადებული იქნა კონდუქტორად. ამჟამად სამი ქალი მუშაობს მატარებლის გამწესებლად, 12 გამცილებლად, 8 ქალი გაგზავნილი იქნა სხვა სადგურებში სამუშაოდ. საუკეთესოდ მუშაობს გამწესათ წითელარმიელის მეუღლე მარგალიტა ჯანჯღავა, რომლითაც ყოველთვიურად ღებულობს ჯილდოს. კარგად მუშაობენ აგრეთვე მატარებლის გამცილებლები გვენეტაძე, ებანოიძე და სხვები.
მოგვინებით იგივე გაზეთი ხაშურელ კონდუქტორთა შესახებ წერდა: „ხაშურელ კონდუქტორთა რეზერვი აქტიურად ანაღდებს სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, დღითი-დღე ზრდის ლუნინელთა და ორასოვანთა რიგებს. სამამულო ომის დღეებში ორასოვანთა რიგებში ჩადგა მთავარი კონდუქტორი ამხ გოგოლაძე, რომელმაც გასული თვის და აგვისტოს პირველი ნახევრის გეგმა 233 პროცენტით შეასრულა“.

ომის წლებში თავდადებულად შრომობდნენ ადგილობრივი მრეწველობის_ კომბინატში შემავალი საწარმოების თანამშრომლები, ომმა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მეტად სერიოზული ამოცანები დააკისრა. მათ უნდა უზრუნველეყოთ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფართო მოხმარების საქონელზე. არცერთი სახის ნაწარმი, პროდუქცია, რომლის დამზადებაც რაიონში შეიძლებოდა, არ უნდა შემოტანილიყო სხვა რაიონიდან და რესპუბლიკიდან.

სამჭედლო-საზეინკლო სახელოსნო (ხელმძღვანელი ჟ. ხვედელიძე) ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით იძლეოდა პროდუქციას. აქ ხდებოდა შეკეთება და მზადდებოდა ისეთი ხელსაწყო-იარაღები, რომელიც კოლმეურნეობებს სჭირდებოდა. 1942 წლის პირველი კვარტლის გეგმა სახელოსნომ 106%-ით შეასრულა, მეორე კვარტლისა კი - 150%-ით. ახალი, მესამე კვარტლის ივლისის თვის დავალებათა გეგმა კი უკვე შესრულებული ჰქონდათ 132%-ით. თუ 1941 წლის ივნისის თვეში სახელოსნოს გამოშვებული ჰქონდა 5000 მანეთის პროდუქცია, შესაბამისად 1942 წლის ივნისში უკვე 9800 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. სახელოსნოს თანამშრომლები აბელ მუმლაძე, სიმონ ბარბაქაძე და სიმონ მჭედლიშვილი ყოველ-დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ .

1943 წლის 7 თვეში სამჭედლო სახელოსნომ 13,9 ათასი მანეთის ნაცვლად 27,7 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა. სახელოსნომ კოლმეურნეობებს ჭარხლის სათოხნი 575 თოხი დაუმზადა, 600-ზე მეტი შეუკეთა. სახელოსნოს 1943 წლის I-II კვარტალში 7800 მანეთის წმიდა მოგება ჰქონოდა.

მიუხედავად პრობლემებისა 1943 წლის 7 თვის მონაცემებით გარკვეული წარმატებები ჰქონდა სახერხ ქარხანას (ხელმძღვანელი გ. ჩიქვილაძე). თუ 1942 წელი მან ზარალით დაამთავრა, ახლა 7 თვის გეგმა მთლიანად შეასრულა და I-II კვარტალში 15 600 მანეთის წმინდა მოგება მიიღო.

გადამეტებით ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს ხაშურის ლიმონათის, ალის კირის_ქარხნები და ფოტოსაწარმოები, სერიოზული ნაკლოვანებები იგრძნობოდა ფეხსაცმელების სახელოსნოსა და ტყავის გადამამუშავებელ წარმოებაში. მიუხედავად ამისა 1943 წლის პირველი ნახევრის გეგმა ადგილობრივმა მრეწველობამ 102,5%-ით შეასრულა, 350,5 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვა 441,7 ათასი მანეთის პროდუქცია.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა წარმატებით დაიწყო 1944 წელი.

„ჩვენი კომბინატის მუშებმა გადაწყვიტეს წითელი არმიის ამ ახალ დიდ წარმატებებს უპასუხონ გმირული შრომით ზურგში, აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულონ ხუთი დღით ადრე“ - წერდა ადგილობრივ გაზეთში კომბინატის დირექტორი მ. ღონღაძე.

ამ წლის I კვარტლის გეგმა კომბინატს შესრულებული ჰქონდა 132,3%-ით. ყველაზე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ სურამის სამთო წარმოებას და ხაშურის სამჭედლო სახელოსნოს. პირველმა მათგანმა კვარტალური დავალება შეასრულა 172,2 პროცენტით, ხოლო მეორემ 171,6 პროცენტით. წარმატებით მუშაობდა სამხერხაო-საავეჯო საწარმოც. რომელსაც მარტის თვის გეგმა 125%-ით ჰქონდა შესრულებული ( ). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოებს ფეხს უწყობდა ხაშურის__აგურის ქარხანა. 1944 წელს ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში გურჯაანის აგურის ქარხნის კოლექტივთან იყვნენ ჩაბმულნი, ივნისის თვის მაჩვენებლებით ხაშურლები საგრძნობლად უსწრებდნენ მათ. ივნისის თვის საწარმოო დავალებები ხაშურლებს გადამეტებით ჰქონდათ შესრულებული. გეგმის ზევით მოჭრეს 4000 ცალი ალიზი და გამოწვეს 35 000 წითელი აგური. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებული იყო 160%-ით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზრდილი იყო 98%-ით. საწარმოო დავალებებს წარმატებით ასრულებდნენ: პაშა პარასტაევა, ანასტასია პოლიენკო, კიმოთე მოსკალენკო, ალექსი ლაცაბიძე, ალექსი ღონღაძე, რომელიც სამასოვანი გახდა. ღუმელში 2000-ის ნაცვლად 6000 ალიზის შეზიდავს ასწრებდა ყოველდღიურად.

აგურის ქარხანამ ივლის-აგვისტოს დავალიანებებიც წარმატებით შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ივლისის თვის ივნისის თვის გეგმას საგრძნობლად აღემატებოდა, მაინც წარმატებით იქნა დაძლეული დავალებები. თუ ივნისში გეგმის გადაჭარბებით მოჭრეს 4000 ცალი ალიზი, ივლისის თვეში უკვე მოიჭრა 30000 ცალი. ქარხანამ აგვისტოს თვეში ალიზის მოჭრის გეგმა 113,6 პროცენტით შეასრულა, საერთო პროდუქციისა - 108,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 131,8 პროცენტამდე.

1944 წლის საახალწლო ნომერში გაზეთი წერდა: „გამარჯვების ხმას ვისმენთ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან რადიოს, გაზეთებს მოაქვთ სასიხარულო ცნობები – ფრონტისადმი საყოველთაო-სახალსო დახმარების ახალი ძალით გაჩაღების შესახებ, ჩვენი მუშების, ტრანსპორტელების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის პატრიოტულ საქმეებზე. სამშობლოს სიყვარულში და ერთგულებაში ძმურად ეჯიბრება ერთმანეთს საბჭოთა ფრონტი და მისი ზურგი!

ახალ წელს მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნავენ ჩვენი რაიონის მშრომელებიც, მიღწეულია სასახელო წარმატებები სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მრეწველობაში, სკოლებში. სამშობლოსადმი მათი ერთგულების სიმბოლოა ის დიდი ვაგონი, რომელიც ამ ორიოდე დღის წინათ, საახალწლო საჩუქრებით ავსებული გაგზავნეს მშობლიური წითელი არმიისათვის.

ხაშურელმა რკინიგზელებმა საყოველთაოდ გაითქვეს სახელი თავიანთი პატრიოტული თაოსნობით და აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავდადებული შრომით. წარმატებით შეასრულეს რა სახელმწიფო ვალდებულებანი და გეგმები რაიონის კოლმეურნეებმა და კოლმეურნეობებმა, სამშობლოს დამატებით ჩააბარეს 200 ტონაზე მეტი მარცვლეული.

ახალი წელი მოვიდა! მტკიცეა და იმედიანი ჩვენი ხალხი, იგი აღსავსეა გამარჯების რწმენით, მასში ულევი დევგმირული ძალაა. დასჭირდება და დნეპრზე დიდ მდინარეებს გადალახავს, მაგნიტოგორსკზე უფრო დიდ კომბინატებს ააგებს, ყველაფერს გააკეთებს, არაფერს შეუდრკება და გაიმარჯვებს, შეუფერხებლად ივლის მარად წინ დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ გასხივოსნებული გზით“.

ომის წლებში სათანადო ყურადღება ექცეოდა ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს. მარტო 1944 წლის ზაფხულში სათანადო ყურადღება დაეთმო მთავარი გზები მოკირწყვლა და მოასფალტდა. შეკეთებული იქნა წყალსადენი თხრილები (კუვეტები), ქალაქის ცენტრში მოეწყო სკვერი, საგაზაფხულო კინო.
ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში ინიციატივას იჩენდნენ მცხოვრებლებიც: „ზრუნვა თავისი ქალაქის, უბნის, ქუჩისა და საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობაზე თითოეული მოქალაქის ღირსების საქმეა. ხაშურელ მშრომელებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ფრონტისადმი საყოველთაო სახალხო დახმარებაში, არ ავიწყდებათ ზრუნვა თავის ქალაქზე“ - წერდა გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ 1944 წლის 28 სექტემბერს.

გაზეთი იქვე მიუთითებს კეთილმოწყობისათვის თაოსნობის არაერთ მაგალითზე. კერძოდ, წერეთლის ქუჩის მცხოვრებლებმა ტექნიკოს ვალოდია გიორგაძის და პენსიონერ ზოსიმე კაკიაშვილის თაოსნობით, საკუთარი საშუალებებით დააგეს ქვაფენილი, ჩაფრაძის ქუჩის მცხოვრებლებმა თავიანთი ინიციატივით მოაწესრიგეს საკანალიზაციო სისტემა, მოქალაქე გიორგი ბაქრაძემ ივალდებულა თავისი ტრანსპორტით მოზიდოს მთავარი ქუჩის მოასფალტებისთვის საჭირო რიყის ქვა და სილა.

ამავე წლებში სათანადო ყურადღება ექცეოდა ქალაქის ელექტროფიკაციას. მოსახლეობა თავად იძენდა საჭირო მასალას და გაჰყავდათ ელექტროდენი.

ადგილობრივი ხელისუფლება მზრუნველობას იჩენდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ხაშურში მოხვედრილი მოქალაქეებისადმი. აი ამის ერთი მაგალითი:

1943 წლის დეკემბერში, ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომში დია ბარათი მოვიდა. გენადი ზიზოევი აღმასკომის თავმჯდომარეს და მდივანს წერდა:

„ჩემო ძვირფასო ძია კოტე და ბიცოლა ნინა!

ჩვენ ყველანი კარგად ვცხოვრობთ. ჩემი მშობლები ცოცხლებია, მამა ფრონტზე იმყოფება. კაპიტანია, გვარდიის არტილერისტი. რამდენიმე დღის წინად გზად შემოიარა სახლში და როცა მე ყველაფერი ვუამბე თუ ჩემთვის მეტად ძნელ წუთებში როგორი მშობლიური დახმარება გამიწიეთ თქვენ. მამამ დამავალა გადმოგცეთ მისი გვარდიული ფრონტული მადლობა და აი, მის თხოვნას ვასრულებ. თქვენი გენადი“ გერმანელ ფაშისტთა შემოსევის დროს ქალაქ ტიხორეცკიდან სხვა მშვიდობიან მცხოვრებლებთან ერთად პატარა გენადიც გამოიქცა. მან არ იცოდა, თუ სად იყვნენ მისი მშობლები. ხაშურის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა პატარა გენადის მშობლიური მზრუნველობა გაუწიეს, მისცეს ბინა, კვება, ტანსაცმელი. წითელი არმიის მიერ ტიხორეცკის განთავისუფლების შემდეგ გენადი ზიზიევი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში.

საპასუხო წერილში ხაშურის ქალაქის საბჭოს მუშაკები გენადის უსურვებდნენ ჯანმრთელობას და წარმატებას, ხოლო მის მამას გვარდიის კაპიტანს – მტერზე გამარჯვებას .

სათანადო ყურადღება ექცეოდა ფრონტზე მყოფი ოჯახების დახმარებას. 1944 წლის 26 იანვარს ხაშურის საქალაქო საბჭოში ჩატარდა საბჭოს დეპუტატთა და აქტივისტთა თათბირი, სადაც განიხილეს წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებზე სახელმწიფო დახმარების დროულად გაწვევის ორგანიზაციის საკითხი. შეიქმნა უბნების მიხედვით 8 ბრიგადა, რომლებსაც დაევალათ შეისწავლათ თავიანთი უბნიდან არმიაში გაწვეულთა ოჯახების მდგომარეობა და უზრუნველეყოთ მათზე სათანადო ორგანოებიდან კუთვნილი ერთდროული დახმარების დროულად გაცემა.

ბრიგადები მეორე დღესვე 27 იანვრიდან შეუდგენენ მუშაობას.
ომის წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა მრავალშვილიან დედებს. 1941 წელს ხაშურის რაიონში იყო 226 მრავალშვილიანი დედა, რომელთაც სახელმწიფოსგან მიიღეს 609000 მანეთი. მომდევნო წელს 222 მრავალშვილიანმა დედამ 541000 მანეთი მიიღო. 1943 წელს 461000 მანეთი მიიღო 193 მრავალშვილიანმა დედამ. 1944 წელს კი, რაიონში აღრიცხულმა 179 მრავალშვილიანმა დედამ, მიიღო 505000 მანეთი. სამამულო ომის პერიოდში ხაშურის რაიონში მრავალშვილიანმა დედებმა სახელმწიფოსგან მიიღეს ფულადი დახმარება 2 116 000 მანეთის ოდენობით.
ასევე სათანადო ყურადღება ექცეოდა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს. რაიონში გრძელდებოდა თანხების მობილიზება მათ დასახმარებლად 1944 წლის ნოემბერში დახმარების ფონდში შეტანილი იყო 39.653 მანეთი. მათ დასახმარებლად რკინიგზის სახანძრო რაზმის მებრძოლებმა და მეთაურებმა გაიღეს 640 მანეთი, საელმავლო დეპოს კოლექტივმა 1000 მანეთი, სავაგონო დეპომ – 1212, ხაშურის რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა – 1010, ქალაქის ვაჟთა სკოლის მოსწავლეებმა 866 და რკინიგზის პოლიკლინიკის თანამშრომლებმა 701 მანეთი.

სავაგონო დეპოს წარჩინებულმა მჭედელმა ბეჟან კალმახელიძემ უმშობლოდ დარჩენილ ბავშვთა ფონდში შეიტანა თავისი ერთ-ერთი სარეკორდო გამომუშავების ღღიური ხელფასი 574 მანეთი.

უმშობლოდ დარჩენილ ბავშვთა დასახმარებლად 8000 მანეთი შეაგროვეს ქვიშხეთის, - 4000 - ვაყის და 3000 - გომის საბჭოებში.

ქალაქ ხაშურისა და ხაშურის რაიონის საჰაერო თავდაცვის შტაბის ბრძანებით, 1944 წლის 5 სექტემბრიდან, ქ. ხაშურისა და ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მოხსნილი იქნა შუქშენიღბვა.

1945 წლის 5 აგვისტოსათვის, რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დიდი სამამულო ომის პერიოდშ თავდაცვითი და სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის დარგში დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ამიერკავკასიის, ორჯონიკიძის, ჩრდილო კავკასიის, სტალინგრადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზების 564 მუშაკი. მათ შორის ხაშურის რკინიგზის კვანძიდან იყვნენ:

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდნენ: ელექტრო დეპოს უფროსი დიმიტრი კაკაბაძე, ელმავლის მემანქანე მიხეილ შიუკაშვილი, სალიანდაგო დისტანციის უფროსი კონსტანტინე ნაგორნი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით ელმავლის მემანქანე ალექსანდრე მანჯავიძე საპატიო ნიშნის ორდენით მოძრაობის განყოფილების უფროსი ვარლამ კვინიკაძე.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

12 ნოემბერს დასრულდა Cine Doc -ის დოკუმენტური ფილმების საშემოდგომო მინიფესტივალი გორსა და გომში, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტი მხარდაჭერილია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს, მოსწავლეების ჩართვას დოკუმენტური ფილმების ჩვენების პროცესში. აღნიშნულ პროექტში,შვიდი სკოლა იყო ჩართული აქტიურად. დასკვნითი ჩვენება, გომის საჯარო სკოლაში მოეწყო, რომელიც დოკუმენტური ფილმის ჩვენებას,განხილვებს და სხვადასხვა აქტივობებს მოიცავდა.მინიფესტივალის გახსნას, გარდა მოსწავლეების, მასწავლებლების, საზოგადეობის წევრების, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი დანიელ მეული ესწრებოდა. თუ რას გულისხმობს პროექტში მონაწილეობა, როგორ მიმდინარეობდა პროცესები მოსწავლეებთან ერთად, ამაზე, გომის სააჯრო სკოლის მასწავლებელი, პროექტის განმახორციელებელი და სულისჩამდგმელი, ციური თედიაშვილი

ისაუბრებს:

-პროექტის არსზე რომ ისაუბოროთ, რას გულისხმობს, რას ნიშნავს მოსწავლეების ჩართულობა?

-პროექტი CineDoc - სკოლა ანხორციელებს დოკუმენტური ფილმებით სწავლებას არაფორმალური განათლების მეთოდებით და ემსახურება ახალგაზრდებში კინოფილმებითა და შემოქმედებითი აქტივობებით დაინტერესებას, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას, ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მიმღეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას, იმ გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით , რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე.

პროექტი CinéDOC-სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ახალი გამოცდილებების,ცოდნისა და იდეების გაცვლის,ურთიერთობებისა და შემოქმედებით დოკუმენტურ კინოსთან დაახლოვების შესაძლებლობებს.

ჩვენ ვქმნით ემოციებს! - ასეთია პროექტის სლოგანი.

-როგორ მოხდა გომის სკოლის ჩართულობა ამ პროექტში?

-პროექტში ჩვენი სკოლის ჩართვა რამდენიმე შესარჩევ ეტაპს მოიცავს. პროექტის შესახებ სოციალურ ქსელებიდან გავიგე. მანამდე ჩემს პრაქტიკაში ხშირად ვიყენებდი მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს, რაც მოსწავლეებში ინტერესს იწვევდა. ჩავთვალე, რომ ეს ახალი პროექტი იქნებოდა კიდევ ერთი საინტერესო აქტივობების შესაძლებლობა ჩემი მოსწავლეებისათვის. შევავსე აპლიკაცია და ამასთან ერთად, ჩავწერე ერთწუთიანი ვიდეომიმართვა, სადაც ვასაბუთებდი რატომ მინდოდა პროექტში ჩართვა. პირველი ეტაპის გავლის შემდეგ, შერჩეულ მასწავლებლებთან მოეწყო ონლაინ გასაუბრება პროექტის ხელმძღვანელებთან ბატონ არჩილ ხეთაგურთან და ქალბატონ ილეანა სტანკულესკუსთან. მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, შეირჩა საქართველოს მასშტაბით 26 სკოლა. შიდა ქართლის რეგიონიდან პროექტში მონაწილეობას იღებს 7 სკოლა: ქ. გორის მე-12, მე-9, მე-7 და მე-4 საჯარო სკოლები, ამერიკული უნივერსიტეტის კერძო სკოლა, სოფ.ქვეშის საჯარო სკოლა და ხაშურიდან სოფელი გომის საჯარო სკოლა. ჩატარდა რამდენიმე ფილმის საერთო ჩვენება/დისკუსია ონლაინ, სადაც მოსწავლეებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, შეხვდნენ ფილმების რეჟისორებს და დაუსვეს მათთვის საინტერესო კითხვები. სკოლებს მოგვეცა შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დავსწრებოდით დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს. დაუვიწყარი ემოცია გამოიწვია იმ ფაქტმა,რომ საერთაშორისო ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, ჩვენ სოფელში გადაღებულმა ფილმმა გაიმარჯვა. შემდგომ იყო თბილისში პროექტის მონაწილე პედაგოგების 2დღიანი ტრენინგი და რამდენიმეთვიანი შერჩევისა და მზადებს შემდგომ უკვე გასული წლის შემოდგომაზე დავიწყეთ სპეციალურად ჩვენთვის შერჩეული ფილმების ჩვენება/ დისკუსიები, რომლებსაც სხვადასხვა აქრივობებით ვამრავალფეროვნებთ.

-რას გულისხმობს თქვენი მონაწილეობა,რა ფორმით ხდება თანამშრომლობა?

-სკოლაში ჩამოვაყალიბეთ კლუბი CineDoc-გომი, სადაც პერიოდულად ეწყობა CineDoc - სკოლის პლატფორმაზე განთავსებული შემოქმედებით დოკუმენტური ფილმების შერჩევა და ჩვენება/ დისკუსიები. პროექტის ინსპირაციით კეთილმოვაწყეთ სკოლის შიდა ეზო, სადაც მოვაწყობთ ფილმების ღია სივრცეში ჩვენებას და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებს. მაისის თვეში გვქონდა ღია ჩვენება, სადაც პროექტის ხელმძღვანელები გვესწრებოდნენ და ძალიან მოეწონათ ჩვენი CineDoc-გომის ეზო. გადაწყდა,რომ ჩვენ სკოლაში ჩატარდებოდა ფესტივალი, რაც განხორციელდა კიდეც.

-რამდენი მოსწავლე იყო ჩართული?

-პროექტში ჩართულია 50 მოწავლე, მაგრამ ფილმის ჩვენებებზე ვიწვევთ სასკოლო საზოგადების წარმომადგენლებსაც.

–ფესტივალზე,მთელ ამ დღეზე რომ ისაუბროთ(დაგეგმვაზე,განხორციელებაზე,მოლოდონებზე,შედეგებზე)

-ჩვენი რეგიონის მასშტაბით პროექტში ჩართულია 7 სკოლა, რომლებშიც გასულ სასწავლო წელს CineDOC-სკოლის კონკურსის წესით შერჩეულმა და სპეციალურად გადამზადებულმა მასწავლებლებმა ჩამოვაყალიბეთ კონოკლუბები. CineDOC მასწავლებლები კინოკლუბებში ვმართავთ ჩვენებებს და ვუძღვებით დისკუსიებს, ვაწყობთ ვორქშოპებს, მოსწავლეებს ვთავაზობთ შემოქმედებით აქტივობებს. შესაბამისად, ხელს ვუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა საზროვნო უნარების განვითარებას. სწორედ ჩვენი მონდომებით, ორგანიზებითა და პროექტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ჩატარდა შიდა ქართლის საშემოდგომო მინიფესტივალი 11, და 13 ნოემბერს გორში, 12 ნოემბერს გომის საჯარო სკოლაში რომლის ფარგლებშიც ნაჩვენები იქნა ირანელი წარმოშობის ჰოლანდიელი რეჟისორის ნიკი პადიდარის შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმი „ნინოკ“. ფილმის ჩვენება/დისკუსიაში , ჯგუფური აქტივობებში 7 სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა მიიღებეს მონაწილეობა, წარმოადგინეს საერთო ნამუშევრები, რითაც დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს. გომში მინი-ფესტივალს დაესწრნენ პროექტის ხელმძღვანელები და მოწვეული რეჟისორები.

-რამდენად მნიშვნელოვანია სკოლისთვის ამ პროექტში მონაწილეობა,რას გვაძლევს სამომავლოდ?

-აღნიშნულ პროექტში ჩვენი სკოლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნე, სწავლების პროცესში არაფორმალურ განათლებას შეუძლია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება. მწამს, რომ ფილმები ხშირად გავლენას ახდენენ ადამიანის შეხედულებებზე და დამოკიდებულებებზე და მე, როგორც პედაგოგმა ,რატომ არ უნდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობაც მომავალი თაობის აღზდის მეტად რთულ პროცესში? მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური სოციალური საკითხების შესახებ, მსჯელობისა და შეფასების პროცესში თავისუფლები არიან, რაც მათ ძალიან გამოადგებათ მომავალ ცხოვრებაში.

-სამომავლოდ, თუ იგეგმება თანამშრომლობის გაგრძელება და რა ფორმით?

-პროექტი CineDoc - სკოლა მდგრადი გამოდგა- სკოლებში შეიქმნა CineDoc კლუბები და გაიზარდა პროექტში მონაწილე სკოლების რაოდენობა.

ჩვენ უკვე დავიწყეთ ახალი ფილმები ჩვენება / დისკუსიების მოწყობა. უნდა აღვნიშნო, რომ უკვე შეხვედრების მენტორობას მოსწავლეები ითავსებენ: ამზადებენ ფილმების სინოფსისებს, აფიშებს, ჩანახატებს, გზავნილებს ფილმების პერსონაჟებისათვის...

ჩემი მოსწავლეები ყოველ დილით მედიაკლუბში კითხულობენ როდისაა ფილმის ჩვენება... ეს უკვე ჩვენი მუშაობის შედეგია .

დიდი გეგმები გვაქვს პროექტის ხელმძღვანელებთან ერთად შემუშავებული. იმედია, ესეც ისეთივე წარმატებით განხორციელდება, როგორც აქამდე ყველა დასახული მიზანი.

ზურაბ ლომიძე: "გლდანის" თამაშზე დანიშნეს გლდანელი მსაჯი! "ივერიას" რომ ჰქონდეს ასეთი მნიშვნელობის შეხვედრა, ხაშურელ მსაჯს დაგვინიშნავს ვინმე?!"...

მას შემდეგ, რაც ხაშურში ახალი, თანამედროვე სტადიონი გაიხსნა, იქ საფეხბურთო ცეცხლიც აგიზგიზდა. ადგილობრივი "ივერიას" მატჩებზე ტევა არ იყო. ხალხი ტრიბუნებზე რომ ვერ ეტეოდა, შემოგარენიდან ადევნებდა ხოლმე თვალს საყვარელი გუნდის თამაშს.

ისე მოხდა, რომ "ივერიამ" მესამე ადგილზე დაასრულა რეგიონული ლიგის გათამაშება, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი ვერაფრით აღზევდება მეოთხე ლიგაში. ხაშურელები მიიჩნევენ, რომ ისინი უსამართლობის

მსხვერპლნი არიან. ჩვენ ნტერვიუ ჩავწერეთ "ივერიას" მთავარ მწვრთნელ ზურაბ ლომიძესთან...

ხელს არავისკენ ვიშვერ, უბრალოდ, მინდა დავსვა კითხვა...

- რეგიონული ლიგის ბოლო ტურებში ძალიან დაძაბული სატურნირო სიტუაცია შეიქმნა. მართალია, წავაგეთ თამაში ჩვენს უშუალო კონკურენტ "გლდანთან", მაგრამ ჩვენმა მთავარმა კონკურენტმაც დაკარგა ქულები. ბოლო ტურის წინ შეიქმნა ასეთი სიტუაცია: თუ ჩვენ მოვიგებდით, ხოლო "გლდანი" ფრედ მაინც ითამაშებდა "კოლხთან" შეხვედრაში, პლეი-ოფის საგზური ჩვენს გუნდს რჩებოდა.

"ივერიამ" მოახერხა და გაიმარჯვა. ჩვენ ეს ძალიან დამაჯერებლად გავაკეთეთ. პარალელურად მიმდინარეობდა "გლდანის" შეხვედრა. 96-ე წუთზე "გლდანმა" ანგარიში გაათანაბრა, 101-ე წუთზე კი "კოლხის" კარში 11-მეტრიანი დაინიშნა და "გლდანმა" მოიგო.

ამ დროს ჩვენი თამაში უკვე დასრულებული იყო. სტადიონზე შეკრებილი უამრავი გულშემატკივარი ადევნებდა თვალს თბილისში მიმდინარე შეხვედრას. რა გასაკვირია, რომ მათი იმედგაცრუება იყო უსაზღვრო.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ "გლდანის" ბოლო ტურის მატჩს, ისევე, როგორც ჩვენი და ამ გუნდის შეხვედრას, სჯიდა მანუჩარ კიკორია. ეს არბიტრი წარმოშობით არის სამეგრელოდან, მაგრამ ამჟამად ჩემი ინფორმაციით, ცხოვრობს გლდანში. მე ხელს არავისკენ ვიშვერ.

უბრალოდ, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დავსვა კითხვა: რატომ ინიშნება "გლდანის" თამაშებზე, თანაც საჩემპიონო მნიშვნელობის თამაშებზე გლდანელი არბიტრი? "ივერიას" რომ ჰქონდეს ასეთი მნიშვნელობის შეხვედრა, იმავე უშუალო კონკურენტთან მატჩი, ხაშურელ მსაჯს დაგვინიშნავს ვინმე?

„ივერიაში" ყველა ფეხბურთელი ადგილობრივია

- ჩვენ გვყავს ძალიან ახალგაზრდული გუნდი და, რაც მთავარია, აბსოლუტურად ყველა მოთამაშე არის ადგილობრივი, ხაშურის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე წრისთვის მწირი ფინანსური რესურსის გამო ვერ მოვახერხეთ გაძლიერება.

გუნდს არ ჰყავს ოფიციალური, გენერალური სპონსორი. არის შექმნილი "ივერიას" განვითარების ფონდი და ხაშურელი ბიზნესმენები ამ ფორმით ეხმარებიან გუნდს. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა, მოგებული მატჩების შემდეგ პრემიები დაგვერიგებინა ფეხბურთელებისთვის.

ძალიან რთული სეზონი იყო. მოგეხსენებათ, "გლდანთან" საშინაო თამაში ჩაიშალა. ამას მოჰყვა ჩვენი სტადიონის დისკვალიფიკაცია. გარდა ამისა, ერთმანეთს მიეწყო ფეხბურთელების ტრავმები და დისკვალიფიკაციები. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩემპიონატის დასაწყისისთვის სტადიონი არ იყო გახსნილი და ცხრამუხას სტადიონზე ვთამაშობდით.

მეორე წრეში თანდათან შემოგვიერთდნენ ტრავმირებული მოთამაშეები და ჩვენ შევძელით, რომ სტაბილურად გვეთამაშა. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ყველა ფეხბურთელს. მათ მაქსიმუმი გააკეთეს.

- აუცილებლად მინდა შევეხო იმ დიდ პრობლემას, რომელიც არსებობს რეგიონულ ლიგაში. აქ ასპარეზობენ ფარმ-კლუბები, ისინი ძირითადი გუნდებიდან იმატებენ ფეხბურთელებს. ასეთ შემთხვევაში უკვე დიდ სხვაობას ვიღებთ რეგიონულ ლიგაში მოთამაშეებსა და დამატებულ კადრებს შორის.

მარტივი სტატისტიკა რომ ავიღოთ, ბოლო დროს რეგიონული ლიგიდან აღზევებული 9 გუნდიდან 8 სწორედ ამა თუ იმ კლუბის მეორე გუნდია. აქვე მინდა მივულოცო ჩვენი ლიგის გამარჯვებულ "ვარკეთილი 2-ს" და პლეი-ოფში გასულ "გლდანს".

ზოგადად, ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ახლა ჩვენს ლიგაში შემოვლენ თბილისის "დინამო 3" და ბათუმის "დინამო 2". რეგიონების კლუბებს არ აქვთ იმის რესურსი, რომ დამატებული ფეხბურთელებით გაძლიერებულ დუბლებს ებრძოლონ.

რაიონებში თანდათან ქრებიან გუნდები და ეს ქართული ფეხბურთისთვის ძალიან ცუდია. გუნდები აღარ არიან ხარაგაულში, ბაღდათში, რაჭაში, ყვარელში, ლაგოდეხში... კიდევ არაერთ რაიონში. ჩვენც ამ დღეში ვიქნებოდით, მაგრამ სულზე მოგვისწრო სტადიონმა.

ხაშურში უზომოდ უყვართ ფეხბურთი. გაორმაგდა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ფეხბურთზე დადიან. ჩვენი გუნდიც, როგორც ზემოთ ვთქვი, ძალიან ახალგაზრდულია. მხოლოდ მეკარე ბორის დერევიაჩენკოა ვეტერანი.

ჩვენი ძალა ჩვენი ქომაგია

- ვამაყობ ხაშურის "ივერიას" გულშემატკივრებით. ჩვენს ყველა მატჩს მინიმუმ 4-5 ათასი ქომაგი მაინც ესწრებოდა. გასვლით მატჩებში ყოველთვის დაგვყვებოდა 500-600 კაცი. ჩვენი ქომაგი ჩვენი ძალაა და მათ წინაშე დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს.

რა თქმა უნდა, რთული იქნება გუნდში დღეს არსებული რესურსის შენარჩუნება. მეოთხე ლიგაში რომ გადავსულიყავით, სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ "ივერია" ყოველთვის იყოს ანგარიშგასაწევი ძალა.

საქართველოს ვენახების კადასტრი

საქართველოს ვენახების აღრიცხვის მიზნით, რომელიც გამიზნულია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს ვენახების და მევენახეების რეგისტრაცია, რომელსაც ახორციელებს ღვინის ეროვნული სააგენტო.

შესაბამისად, მევენახე ვალდებულია დაარეგისტრიროს თეთრყურძნიანი და წითელყურძნიანი ვაზის ჯიშებით გაშენებული ყველა ტიპის ვენახი.

საკადასტრო რეგისტრაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია სპეციალურად გახსნილ სარეგისტრაციო უბნებზე.

დღეისათვის რეგისტრაცია მიმდინარეობს ალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციულ შენობაში გახსნილ სარეგისტრაციო უბანში. უახლოეს დღეებში, რეგისტრაცია იწყება ქვიშხეთსა და წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც სარეგისტრაციო უბნები ასევე გაიხსნება შესაბამის ადმინისტრაციულ შენობებში, რეგისტრაციის დაწყების შესახებ მევენახეთა ინფორმირება დამატებით მოხდება.

ვენახების რეგისტრაცია უფასოა.

ვენახების კადასტრი გააჩნია ევროკავშირის წევრ ყველა მევენახე ქვეყანას. გამომდინარე აქედან, საქართველოს ვენახების კადასტრის პროგრამა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპული გამოცდილებისკენ.

მევენახეებს გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ვენახების აღრიცხვაში!

უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია

2022 წლის 10 დეკემბერს, „გორმედი ხაშურის ცენტრალურ საავადმყოფო"-ში ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჩატარდება უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია.

აქციის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მეან-გინეკოლოგი, პროფესორი დავით ქაჯაიას უფასო კონსულტაცია.

ასევე აქცია მოიცავს მამოლოგის, ენდოკრინოლოგის, ნეონატოლოგის კონსულტაციას, შესაბამისი ულტრაბგერითი კვლევებით.

პაციენტთა მიღება იწარმოებს 11 საათიდან 17 საათამდე.

მისამართზე: ხაშური, ფარნავაზის ქ. 5 „გორმედის" ხაშურის ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე.

მსურველებმა წინასწარი რეგისტრაციისთვის უნდა მიმართონ „გორმედი ხაშურის ცენტრალურ საავადმყოფოს შემდეგ ტელეფონის ნომერზე:

596 99 85 85

ადმინისტრაცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.